შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი

ტესტი ლიტერატურაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ლიტერატურის ტესტი ორი ნაწილისაგან შედგება: I. ქართული ლიტერატურა; II. წერითი დავალება.

დაკვირვებით წაიკითხეთ ყოველი დავალების პირობა.

ორივე წერითი დავალების შესრულება სავალდებულოა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 80.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი და 15 წუთი

გისურვებთ წარმატებას!

I. ქართული ლიტერატურა

(1) 1. ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „შუშანიკის წამება“ იაკობ ხუცესი მოგვითხრობს:

„ხოლო ამის უბადრუკისა და სამგზის საწყალობელისა ვარსქენისი ვითარ-მე ვინ თქუას, ყოვლად განწირულისაი, ვითარ-იგი განაგდო სანატრელი სასოებაი ქრისტეისი?! ანუ ვინ არა სტიროდის მას...“

რატომ არის, ავტორის აზრით, ვარსქენი „საწყალობელი“, მისი მდგომარეობა კი - სატირალი?

(1) **2. თხზულებაში „აბო თბილელის წამება“ ვკითხულობთ:**

„და იყო ნეტარი იგი საპყრობილესა შინა ცხრა დღე, და დღე ყოველ იმარხავნ და ღამის თევით დაადგრის განთიადმდე. ხოლო დღესა მას მეცხრესა ჰრქუა ყოველთა მათ მის თანა პყრობილთა ქრისტეანეთა...“

რა უთხრა აბომ „თანა პყრობილთა“? (*შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატითაც*)

(1) **3. გაიხსენეთ გიორგი მერჩულის თხზულება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“.**

რატომ ეწოდა გრიგოლს „ხანძთელი“?

(6) **4. გაიხსენეთ შოთა რუსთველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“.**

1. ვისგან შეიტყო ფატმანმა ქაჯთა მიერ ნესტანის შეპყრობის ამბავი?
2. რა ცვლილება გამოიწვია ქაჯთა სამეფოში ხელმწიფის გარდაცვალებამ?
3. რატომ იყვნენ ღამე მინდორში როშაქი და ასი რჩეული მონა?
4. რატომ შეიპყრეს ქაჯებმა ერთ ღამეს „გულანშაროთ მოციქული“, რომელიც, მისივე თქმით, ქაჯეთში მიდიოდა?
5. რას გულისხმობს ავტორი მეტაფორულ ნათქვამში: „რა საბრალოა გავსილი მთვარე, ჩანთქმული გველისა“?
6. რა უპასუხა ფატმანმა ავთანდილის შეკითხვას: „მაგრა ქაჯნი უხორცონი რას აქმნევენ, მიკვირს, ქალსა“?

(2) **5. წიგნში „დავითიანი“ ვკითხულობთ:**

„ამ ამბის თქმა გარჩევითა გულმან ამად არ მინება,
ბევრი ავი გამოჩნდების ჩვენი, მაზე მერცხვინება,
მტერს შაესმის, იამების, მოყვარეს კი ეწყინება.
რასაც ახლა ვამბობ, ვგონებ, ამაზედაც მხვდეს გინება“.

1. კონკრეტულად რის შესახებ საუბრობს ავტორი, როდესაც ამბობს - „მაზე მერცხვინება“? *(ციტირება დაუშვებელია!)*

2. რის გამო შეიძლება გაკიცხონ ავტორი?

(2) **6. გაიხსენეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „არ უკიჟინო, სატრფოო...“**

1. რა არგუმენტით ასაბუთებს ავტორი თავის სიტყვებს - „არ უკიჟინო, სატრფოო, შენსა მგოსანსა გულისთქმა“? (*შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატითაც*)

2. რა მხატვრული საშუალებაა გამოყენებული ლექსის მონაკვეთში: „მინდა შენ იყო, სატრფოო, მშვენიერისა ცის ცვარი“?

(2) 7. გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „კაცია-ადამიანი?!“.

1. რატომ სურდა ლუარსაბ თათქარიძეს, რომ შვილი ჰყოლოდა?
2. რა მხატვრული დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს ლუარსაბისა და დარეჯანის უშვილობას?

(2) **8. გაიხსენეთ ის მოვლენები, რომლებსაც შემდგომ „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლა ეწოდა.**

1. რომელი პუბლიკაციით დაიწყო კამათი ორ თაობას შორის?
2. რა მოვლენამ გამოიწვია დაპირისპირების ახალი ტალღა ათიოდე წლის შემდეგ?

(2) 9. აკაკი წერეთლის ლექსში „ქებათა-ქება“ ვკითხულობთ:

„რამ ამამაღლა? ვინ მაგრძნობინა
ეს საიდუმლო, ღვთიური ძალა?..
ადამის ცოდვით მკრთალი ბუნება
ძლევამოსილად გარდამიცვალა?!..“

1. კონკრეტულად რა ძალამ „აამაღლა“ ლექსის ლირიკული გმირი?
2. ამოიწერეთ ეპითეტი.

(3) 10. გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“.

1. რატომ მიიჩნევს ავტორი მცდარად ამგვარ შეხედულებას: „ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს“?

2. ვის შესახებ წერს ავტორი: „ისინი მთელს კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვიძლ შვილებად“?

3. რა გზით უნდა მოისპოს, ავტორის აზრით, „ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს გამეფებულია დედამიწის ზურგზე“?

(2) 11. გაიხსენეთ დავით კლდიაშვილის მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალი“.

1. რით არის გამოწვეული აზნაურთა ეკონომიკური გაჭირვება?
2. პლატონ სამანიშვილის რა თვისება გამოვლინდა ნაწარმოების ფინალურ ნაწილში?

(1) **12. გაიხსენეთ პაოლო იაშვილის ლექსი „პოეზია“.**

ავტორის სიტყვებით, რა არის ყველაზე დიდი ტანჯვა შემოქმედისათვის? *(შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატითაც)*

(1) 13. გაიხსენეთ ტიციან ტაბიძის „ლექსი მეწყერი“.

ავტორის აზრით, რით ჰგავს პოეზია „მოვარდნილ მეწყერს“?

(2) 14. გაიხსენეთ გიორგი ლეონიძის ლექსი „ყივჩაღის პაემანი“.

1. რომელი ნაწარმოების ინტერპრეტაციას წარმოადგენს ეს ლექსი?

2. რომელი ლიტერატურული მიმართულებისათვის არის დამახასიათებელი ძველი ტექსტის ამგვარი ინტერპრეტაცია?

(2) **15. ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობაში „იგი“ ვკითხულობთ:**

„რაღაც დარჩება იგისგან, - თავის სხეულში თქვა იგიმ. - ოღონდ იგიმ არ იცის, როგორ დარჩება რაღაც... ნეტა ზუ სად უნდა წასულიყო?“

1. რატომ გაახსენდა იგის ამ მძიმე წუთებში ზუ?
2. როდის გააცნობიერა იგიმ, რომ მისგან რაღაც დარჩებოდა?

II. წერითი დავალებები

ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალებებს და გაიაზრეთ ისინი.

თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, **დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება.**

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ <u>თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს</u> და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი. გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ, ფრჩხილებში ნუ ჩასვამთ და ნურც დაჯღაბნით.

თითოეული წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 25.

დავალება N 1

ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობაში „რაჰათ-ლუხუმი“ მოხუცი სულეიმანი სტამბოლის გარეუბანში ევროპელ მოგზაურს უამბობს:

მოსახვევში ჯორზე ამხედრებული მღვდელი გამოჩნდა. თავი ჩაეკიდა და ისე ჩაფლულიყო ფიქრებში, სანამ ჩვენს დანახვაზე ჯორი მოწყვეტით არ შედგა, არაფერი გაუგია. ჯორი რომ შედგა, მაშინღა აიღო თავი. ოცდათხუთმეტი წლისა თუ იქნებოდა, მრგვალი პირისახე ჰქონდა, ქერა თმა-წვერი და თაფლისფერი თვალები. ამოდენა ლაშქარი რომ დაინახა, ფერი დაკარგა, წამით შეტრიალება და გაქცევა დააპირა, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ ვერსად წაგვივიდოდა, და გადაიფიქრა. იჯდა ჯორზე გახევებული, კანკალებდა და უაზროდ შემოგვცქეროდა... „ნუ გეშინია, არას გერჩი, - დაყვავებით უთხრა ომან ფაშამ, - ოღონდ, რასაც გიბრძანებ, ის უნდა შეასრულო“. მღვდელი ისე იყო გონებაარეული, ომან ფაშას დაპირება, ეტყობა, ვერც კი გაიგო. „ხომ იცი, ლუარსაბ-ხანი სად იმყოფება“? - ჰკითხა ომან ფაშამ. მღვდელი, როგორც იქნა, გონს მოეგო, თვალებში აზრის ნატამალი გაუკრთა, მიხვდა, რას ეკითხებოდნენ, და უარის ნიშნად თავი გააქნია, არ ვიციო. მაშინ ომან ფაშამ ის სოფელი უხსენა, რომლის სახელი მაშინ ვიცოდი და მერე დამავიწყდა, და ჰკითხა, ეს სოფელი ხომ იცი, სადააო. მღვდელმა... თავი დაიქნია, ვიციო. „ძალიან კარგი, - თქვა ომან ფაშამ და ბრძანა, - აბა... გაგვიძეხ და პირდაპირ მაგ სოფელში მიგვიყვანე!“ მღვდელი ახლა ისე აღარ კანკალებდა, მაგრამ ჩუმად იყო და მაშინ ვერ მივხვდით, ყოყმანობდა თუ სხვა რამეს ფიქრობდა. მღვდლის სიჩუმეზე ომან ფაშა, ცოტა არ იყოს, გაწყრა და ხმაში სუსხი გამოურია: „ვერ გაიგე, გურჯო, რა გითხარი?! - მერე ისევ დაუწია ხმას და ტკბილად განაგრძო, - თუ გაგვიძღვები და ლუარსაბ-ხანთან მიგვიყვან, სიცოცხლეს გაჩუქებ და სართად ერთ ქისა ოქროსაც დაგიმატებ, თუ არა და დაუყოვნებლივ მოკვდები, ლუარსაბ-ხანის ადგილსამყოფელს კი უშენოდაც იოლად მივაგნებთ“. როდესაც ეს სიტყვები გურჯთა ენაზე უთარგმნეს, მღვდელმა ომან ფაშას შეხედა და წამით რაღაც ნაპერწკალი გაუკრთა. მე ეს ნაპერწკალი ოქროს ხსენებას მივაწერე და გულში გამეცინა. მღვდელმა კი, თითქმის სრულიად დამშვიდებულმა, ომან ფაშას შემდეგი უთხრა: „მე მაშინ მოვკვდები, როდესაც უფალი ჩემი ღმერთი იესო ქრისტე ინებებს“, - და პირჯვარი გამოისახა. ჩემი ვარაუდით, მღვდელი ვაჭრობას აპირებდა, რათა, რაც შეიძლება, მეტი ოქრო დაეცინცლა

ჩვენთვის, მაგრამ მისმა ყბედობამ ომან ფაშა რისხვით აავსო. სწრაფად გადაიხარა ცხენიდან, მღვდელს წვერში წაავლო ხელი, თავი აუწია, თვალებში ჩახედა და კბილთა ღრჭენით უთხრა: „ახლა მე ვარ შენი ღმერთი და შენი სული ჩემს ხელთაა!“ ამ სიტყვებით მისი წვერი ერთი მაგრად შეანჯღრია, მერე თავი კიდევ უფრო მაღლა აუწია და, როცა მღვდელს ყელის ძარღვები დაეჭიმა, თვალები გადმოეკარკლა და სუნთქვა შეეკრა, მაშინღა გაუშვა. „აბა, შეჯექი ჯორზე და გაგვიძეხ“. მღვდელს ხველება აუვარდა და ტკივილისაგან ერთხანს ხმა ვეღარ ამოიღო, ბოლოს, როგორც იქნა, ყელი ჩაიწმინდა და თქვა: „მეფის ღალატს მე ჩემი ნებით ვერ გავბედავ. უნდა ვილოცო და ჩემს მაცხოვარ იესო ქრისტეს დავეკითხო. თუ დასტურს მომცემს, გაგიძღვებით, თუ უარს მეტყვის, ვერ გაგიძღვებით“. მე ვიცოდი, რომ მრისხანების ჟამს ომან ფაშას შეიძლებოდა გონება ამღვრეოდა და ისეთი რამ ჩაედინა, რაც მერე სანანებელი გაგვიხდებოდა, ამიტომ სწრაფად ამოვუდექი გვერდით და სწორედ იმ წამს, რა წამსაც დანა იძრო, ვუთხარი: „ნუ აჩქარდები, დიდო სარდალო. მაგას ლოცვა იმისთვის სჭირდება, რომ ღალატი ღმერთს გადააბრალოს და ოქრო ისე იშოვოს, სინდისმა არ შეაწუხოს“. ომან ფაშას, როგორც სჩვეოდა, სიბრაზემ უცბადვე გადაუარა და მღვდელს მიუბრუნდა: „ნება მომიცია, გურჯო. ილოცე და დაეკითხე შენს ღმერთს. ისიც უთხარი, ომან ფაშას ასე სწადია-თქო, უფრო იოლად გამოსტყუებ დასტურს!“ ამ სიტყვებმა ლაშქარში მხიარული სიცილი გამოიწვია. ეეჰ, მაშინ ჯერ კიდევ ვიყავით ოხუნჯობის გუნებაზე... მღვდელი რამდენიმე ნაბიჯზე გაგვშორდა, პირი აღმოსავლეთით ქნა, დაიჩოქა, თვალები მაღლა აღაპყრო და გაუგებარ ბუტბუტს მოჰყვა. ვიწრო ხეობაში ვიდექით, ქვიან, ოღრო-ჩოღრო გზაზე. შუადღე იყო და უმოწყალოდ ცხელოდა... მღვდელმა ბუტბუტი მალე შეწყვიტა, მაგრამ კიდევ დიდხანს იდგა მუხლებზე, გაშეშებული და ზეცისკენ თვალებაპყრობილი, ბოლოს წამოდგა და მოტრიალდა. სახე უელავდა და თვალებიდან თითქოს სხივებს აფრქვევდა. მე ეს მაინცდამაინც არ გამკვირვებია. მართალია, ამ დამფრთხალი ქრისტიანი მღვდლისაგან ცოტა მოულოდნელი კი მეჩვენა, მაგრამ, საერთოდ, ვიცი, ჩემს თავზეც გამომიცდია და სხვებისთვისაც შემიმჩნევია, რომ ღრმა და გულწრფელი ლოცვის დროს, როცა თვალის მაგიერ სულით იხედები, კაცს ასეთი რამ ზოგჯერ გემართება. მღვდელი ომან ფაშასკენ წამოვიდა. ახლა სავსებით დამშვიდებული იყო და შიშისა აღარაფერი ეტყობოდა. მივიდა ომან ფაშასთან და უთხრა: „უფალმა ჩემმა ღმერთმა იესო ქრისტემ, კურთხეულ იყოს მისი სახელი, შენი მორჩილება და სამსახური მიბრძანა“. „საუცხოო ღმერთი გყოლია, გურჯო. მაშ, დროს ნუ დავკარგავთ, შეჯექი ჯორზე და გაგვიძეხ, - შორია მაგ სოფლამდე?“ „მოკლე გზით თუ წავალთ, დაღამებამდე მივაღწევთ, - მიუგო მღვდელმა, - ოღონდ სავალი ძნელია“. „ალაჰის ლაშქარს გზის სიძნელე ვერ

შეაშინებს, - უთხრა ომან ფაშამ, - მოკლე გზით გაგვიძეხ!“ სავალი მართლა ძნელი გამოდგა, სულ ტყე-ღრეებით, დაბურული ტყეებითა და დახრამული, ვიწრო ხეობებით ვიარეთ. მღვდელი წინ მიგვიძღოდა, ჩვენ უკან მივყვებოდით. საშუალო ტანის კაცი იყო, ოდნავ წახრილი იჯდა ჯორზე, თავი ჩაეკიდა და ეტყობოდა, ღრმა საფიქრალს მისცემოდა. უკან არც ერთხელ არ მოუხედავს. მიდიოდა უხმოდ და, რაზე ფიქრობდა, არავინ იცის... დიდხანს ვიარეთ. ხალხიც დაიღალა და ცხენებიც, მაგრამ დასვენება არც გვიფიქრია. იმის იმედით, რომ მალე მიზანს მივაღწევდით, სადაც გამარჯვებაც გველოდა, სასმელ-საჭმელიც და განცხრომაც, დაღლილობას იოლად ვიტანდით. მზე უკვე ჩადიოდა, როდესაც იმ დაწყევლილ ადგილს მივაღწიეთ... მღვდელმა ფერდობი აათავა, ჯორი ზედ კლდის ძირას შეაყენა, ჩამოხდა და ჩვენკენ მოტრიალდა. ჩვენც შევდექით. ლაშქარიც შედგა. კლდე რაღაც უცხო ბრჭყვიალებით ირეკლავდა დაცემულ სხივებს, სხვადასხვა ფერის ათინათი თვალისმომჭრელად ირეოდა ერთმანეთში და ო, ალაჰ, წამით მომეჩვენა, თითქოს მზის მეწამულ შუქში გახვეული მღვდელი თავადაც მზესავით აფრქვევდა სხივებს. მე თვალი დავხუჭე და თავი გავიქნიე, რათა ეს უცნაური და შიშისმომგვრელი ხილვა მომეშორებინა. ამ დროს მღვდელმა პირჯვარი გადაიწერა და წყნარი, ნაღვლიანი ხმით თქვა: „მოვედით“... „მოვედით? - ჰკითხა ომან ფაშამ და ჯერ ერთ მხარეს შეათვალიერა ტყე, მერე მეორე მხარეს. ბოლოს კლდეს ააყოლა თვალი, თითქოს გადაღმა გადახედვას ლამობსო, და თითით ჰაერში რკალი მოავლო, - აქ არის სოფელი?“ „არა“, - ისევ ისე წყნარად და ნაღვლიანად თქვა მღვდელმა. სახე მშვიდი და უძრავი ჰქონდა. „არა? - განცვიფრებით გაიმეორა ომან ფაშამ, - მაშ, სად მოვედით? სოფელი სადაა?“ „სოფელი შორსაა, - მიუგო მღვდელმა, - უფალმა ჩემმა იესო ქრისტემ, კურთხეულ იყოს მისი სახელი, - ამ სიტყვებით კიდევ ერთხელ გადაიწერა პირჯვარი, - აქ მიბრძანა შენი მოყვანა“.

ყურადღებით წაიკითხეთ გივი გეგეჭკორის ლექსი „თევდორე“:

ხალხს და ქვეყანას ეწირება მხოლოდ თევდორე.
ხალხმა არ იცის, საქართველო რომ იღუპება,
რომ განსაცდელი კარს მოსდგომიათ,
რომ შუბი უკვე აღმართულია,

შუბი ფარული და უხილავი
და სადაც არი, გაიზუზუნებს.

ხალხმა არ იცის, ტივი კლდეებს რომ ეჯახება
                  და უმწეოა ტივზე მეტივე,
რომ საყდარია მიტოვებული
                  და მოციქული უნუგეშოდ დგას თორმეტივე,
რომ სოფლის თავზე ჭვარტლიანი ტრიალებს სვავი,
რომ ოცნებისთვის მკაცრი არის დღე დღევანდელი
და თმებგაშლილი ანგელოსი დგას და ქვითინებს.

ხალხმა არ იცის, საქართველო რომ იღუპება,
რომ მტერი უკვე ოჯახში უზით.
ცეცხლს რომ აკვესებს, ყიზილბაშის ცხენის ქუსლია,
ხალხს და ქვეყანას ეწირება მხოლოდ თევდორე
                  და თავგანწირულს ჯერ სამშობლო ვერ დაუხსნია.
ის ქვენადრისის გზაზე მიდის.
იმან არ იცის, ქვეყანაზე რატომ მოვიდა,
მაგრამ მან იცის, რატომ მიდის...
ხალხმა არ იცის, არ ეყურება
                  გადამთიელის ცხენის ჭიხვინი.
თებრონე მშვიდად მიდის წყაროზე,
                  მერე ქალებში დგას მარიხივით.

ხალხმა არ იცის, ვერ გაუგია
საქართველოში მოსვლა სატანის
და ორღობეში ღვივის თებრონეს
აყვავებული კაბის ატამი.
ქვეყანას უმზერს მზე სისხლიანი,
ო, ღმერთო, ასე უყურებს ალბათ
მიწაზე ძალით წამოქცეული
ხარის თვალები გაოფლილ ნალბანდს.
ხალხმა არ იცის, გადამთიელი რომ შემოსულა,
რომ სისხლით ღებეს
თრიალეთი და დაწვეს მანგლისი.
ცხირეთში მშვიდად ისვენებს მეფე.
მშვიდად არიან ფეოდალები,
ძალაუფლების ათრობთ თრიაქი.
სასაფლაოზე გადადის ცხვარი.
სოფელს აფხიზლებს დედლის კრიახი.

იბრუჟებიან ღვინით ბერები.
ვაჭარი ძღვენით მისდგომია მეფის პალატებს.
ხალხმა არ იცის,
არც მამაცმა
და არც ლაჩარმა,
გულქვამ,

გულჩვილმა,
არც ერთგულმა,
არც მოღალატემ,
რომ იღუპება საქართველო.
ფიქრად არა აქვს
ქვეყნად არავის -
არც ხელმწიფეს,
არც ქვეშევრდომებს,
წინ გაგდებული,
სისხლიანი,
ლახტით ნაცემი
რომ ყველას მსხვერპლად ეწირება მხოლოდ თევდორე.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტები შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ჯემალ ქარჩხაძის ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ გივი გეგეჭკორის ლექსის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ამ ტექსტების მსგავსება-განსხვავების შესახებ (ყურადღება მიაქციეთ, რა მხატვრულ საშუალებებს იყენებენ ავტორები).

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დავალება N 2

1913 წელს ლიტერატურულ ჟურნალში „ოქროს ვერძი“ გამოქვეყნდა ინფორმაცია:

„ამას წინათ დაბა ჭიათურაში ლექცია წაიკითხა ახალგაზრდა ლექტორმა მიხეილ წულუკიძემ საქართველოს XIX საუკუნის ლიტერატურაზე. თუმცა თემა ლექციისა ეხლა ყოველ მცოდნე ქართველისთვის დაძველებულია, მაგრამ წულუკიძის ლექცია მაინც სასურველი გამოდგა“.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, ეთანხმებით თუ არა თვალსაზრისს, რომ „თემა ლექციისა... დაძველებულია“ და დასაბუთებისას არგუმენტები მოიხმეთ სკოლაში შესწავლილი რომელიმე მხატვრული ნაწარმოებიდან;
- იმსჯელეთ თქვენ მიერ დამოწმებული ტექსტის მხატვრული თავისებურებების შესახებ;
- ჩამოაყალიბეთ თქვენი პიროვნული პოზიცია წამოჭრილი პრობლემის მიმართ (მსჯელობისას შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვა მხატვრული ნაწარმოები, ფილმი, სპექტაკლი, ცხოვრებისეული გამოცდილება და ა. შ.).

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!